



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N9

ქ. მარნეული

19.05.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, ვალი ისმაილოვი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ ჯაფაროვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ისმაილ ბაირამოვი.

არ ესწრებოდა:

- ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, აბიდ ოსმანოვი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომგუნ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი, აგილ ფაშაევი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლერი ფანგანი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი **კამილ მუსაევი**.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ითხოვა დღის წესრიგს დაემატოს საკითხი შ.პ.ს. „სოფწყალი“-სათვის დროებით სატუმბი სადგურების გადაცემის შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და განსახილველი საკითხები ჩამოყალიბდა შემდეგი დღის წესრიგით

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5703 წერილის განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5702 წერილის განხილვის შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის N03/5398 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5703 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, შეიტანოს ცვლილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის 2015 წლის 22 მაისის N2 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს 2047 წლის 22 მაისი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N45. 19.05.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 მაისის N03/5702 წერილით შემოსული საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 27 აპრილის წერილი, რომლის მიხედვით დეპარტამენტი წინააღმდეგი არ არის მოქალაქეთა განცხადების გათვალისწინებით მოხდეს ქალაქ მარნეულის მოედნიდან ცენტრალურ გადასასვლელ ხიდამდე განთავსებული საგზაო ნიშნების დემონტაჟი და ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირებისათვის შესაბამისი დახაზვა. საკრებულოს წევრმა ნიკოლოზ გოგოჭურმა გამოთქვა აზრი, რომ რამდენიმე მარკეტის მეპატრონის სურვილის გათვალისწინება ამ მონაკვეთზე საგზაო ნიშნების აღების თაობაზე, საფრთხის ქვეშ დააყენებს ათასობით ფეხით მოსიარულეებსა და ავტომანქანების უსაფრთხოდ გადაადგილებას, მით უფრო, რომ ამ ტერიტორიაზე განლაგებული სავაჭრო ობიექტების წინ საკმაოდ ადგილია ტრანსპორტის გასაჩერებლად და ამკრძალავი ნიშნების განთავსება მათ ზიანს არ აყენებს. მით უფრო რომ მათ თავის დროზე კანონდარღვევით გამოიყენეს ტროტუარები და მიუერთეს ისინი სავაჭრო ობიექტებს. აღნიშნული საგზაო ნიშნების დემონტაჟი გამოიწვევს იგივე ქმედების განხორციელებას ხიდიდან გამგეობამდე, რაც ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ისევ შექმნის საცობებს და გამოიწვევს ტრანსპორტისა და ფეხითმოსიარულეების გადაადგილების შეზღუდვას. ასევე გამოითქვა აზრი, რომ საგზაო ნიშნების განთავსება მოხდა საპატრულო პოლიციის თხოვნის საფუძველზე, რომლისთვისაც გახარჯულია საბიუჯეტო სახსრები და ახლა მისი დემონტაჟი დამატებით ხარჯებს გამოიწვევს ბიუჯეტიდან, რაც მათი აზრით გაუმართლებელია.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, თუ ვინაა თანახმა რომ მოხდეს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე (იუსტიციის სახლიდან გადასასვლელ ხიდამდე) არსებული საგზაო ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“-ს დემონტაჟი. მომხრე იყო 8, ხოლო წინააღმდეგი 9 დეპუტატი, რის გამოც საკითხი არ იქნა დადებითად გადაწყვეტილი.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის საფუძველზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 მაისის N03/5398 წერილით შემოსული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარწყავი სატუმბი სისტემები, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N46. 19.05.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეცხრე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი